




# საქართველოს



 **დაარსებულია 1918 წელს.** 

საშშაბათი, 13 დებებერი, 2005 წელი  
№288

# რესპუბლიკა



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლოტარ ხანანაშვილი

და სამბიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ლოტარ ხანანაშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, **ლოტარ ხანანაშვილი**.

ლ.ხანანაშვილი დაიბადა ქ.თბილისში 1930 წელს. 1953 წელს დაამთავრა მოსკოვის დ.მენდელეევის სახ. ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი და იქვე 1957 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1974 წელს მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახ. ფაქიზი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში – სადოქტორო დისერტაცია. 1975-1978 წლებში იგი იყო მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახ. ფაქიზი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის ელემენტორგანული და არაორგანული პოლიმერების სინთეზის კათედრის პროფესორი.

1978 წლიდან ლ.ხანანაშვილი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრას. 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ლ.ხანანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია. მის მიერ თანამშრომლებთან ერთად შესრულებული სამუშაოები მიძღვნილია ელემენტორგანული მონომერებისა და პოლიმერების ქიმიასა და ტექნოლოგიისადმი. მის მიერ შემუშავებულია და წარმოებაშია დანერგილი სხვადასხვა მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე მასალები, რამაც სახალხო მეურნეობას დიდი სარგებლობა მოუტანა.

მისი სამეცნიერო მიღწევები ასახულია 500-ზე მეტ სამეცნიერო პუბლიკაციაში, მათ შორის ერთ სახელმძღვანელოში (გამოცემული 3-ჯერ), 2 მონოგრაფიაში, 130 საავტორო მოწმობასა და 30 საზღვარგარეთის პატენტში.

ლ.ხანანაშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო დისერტაცია. 6-მა მისმა მოწაფემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ლ.ხანანაშვილი არაერთგზით იყო მიწვეული ლექციების წასაკითხად და მოხსენების გასაკეთებლად თავისი გამოკვლევების შესახებ გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, აგრეთვე საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე, რომლებიც მიძღვნილი იყო ელემენტორგანული ნაერთების ქიმიისადმი.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ლ.ხანანაშვილი წარმატებით უთავსებდა დიდ პედაგოგიურ და სასწავლო-მეთოდურ მუშაობას. ეწეოდა აგრეთვე დიდ სამეცნიერო-საორგანიზაციო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ლოტარ ხანანაშვილი იყო ნიუ-იორკის აკადემიის საპატიო წევრი, საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების წევრი, ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს, ქიმიის სერიის და საერთაშორისო ჟურნალ „Russian Polymer News“ რედაქციების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და სხვ. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია, საკავშირო მინისტრთა საბჭოს პრემია.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისა, სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ლ.ხანანაშვილი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ლოტარ ხანანაშვილის ნათელი სახე მარად დარჩება კოლეგების, მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების ხსოვნაში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი**

**ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება**